ინფორმაცია სტუდენტებისა და პროფესორებისთვის, მოწვეული პედაგოგებისთვის, კონცერტმაისტერებისთვის, ადმინისტრაციისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალისთვის და სამუსიკო სემინარიისათვის!!!

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები და გამოცდების ჩატარება უზრუნველყოს **არადისტანციურად (ფიზიკურად),** „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად; აგრეთვე საქართველოს მთავრობის 23 მაისის დადგენილება N322 მუხლი 3, 4 და საქართველოს მთავრობის 22 მაისის დადგენილება N321 მუხლი 2-ის საფუძველზე

გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას და გაგებით მოეკიდოთ კონკრეტულ შეზღუდვებს. ქვემოთ მოცემული ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 22 და 23 მაისის დადგენილებების და ჯანდაცვის რეკომნედაციების მიხედვით, რომელთა გათვალსიწინებაც სავალდებულოა უმაღლესი საგანმანათლებლო დსაწესებულებებისთვის. შესაბამისად მისი დაცვა სავალდებულოა შენობაში მყოფი ყველა პირისთვის

ზოგადი რეგულაციები

- თუ თავს შეუძლოთ იგრძობთ, ნუ მოხვალთ კონსერვატორიის შენობაში. ცხელების, სუნთქვის გაძნელების და ხველების სიმპტომების აღმოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს;
- შეძლებისდაგვარად თავი აარიდეთ ზედმეტად ხალხმრავალი ტრანსპორტით მგზავრობას ე.წ. პიკის საათებში;
- ჩაიტარეთ ხელების დეზინფექცია კონსერვატორიის შენობაში შემოსვლის, ყოფნის და გასვლის დროს;
- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით და გაშრობისას ისარგებლეთ მხოლოდ ქაღალდით, რომელიც დამონტაჟებულია კონსერვატორიის ყველა სართულზე არსებულ სველ წერტილში;
- მოერიდეთ თვალებთან, ცხვირთან და პირთან შეხებას;
- დახველების ან დაცემინების დროს გამოიყენეთ ქაღალდის ერთჯერადი ცხვირსახოცი ან აიფარეთ მოხრილი იდაყვი;
- ეცადეთ მაქსიმალურად არ შეხვიდეთ ერთმანეთთან ოთახებში, ყველა საკითხი ჯობია მოაგვაროთ ტელეფონით, საჭიროების შემთვევაში კი დარეკოთ დეკანთან და ის დაგეხმარებათ

I. კონსერვატორიაში შესვლა და შენობაში ყოფნის წესები

I.1. შენობაში შესვლის პროცედურა

- შენობის შესასვლელში უნდა გაიაროთ შემდეგი პროცედურა, რომელსაც კონსერვატორიიდან ამ საქმისთვის სპეციალურად მომზადებული ადამიანი/ები უზრუნველყოფს. გთხოვთ გაგებით მოეკიდოთ პროცედურას, რადგან სახელმწიფო გვავალდებულებს ეს პროცედურა ჩავატაროთ და აღვრიცხოთ თითოეული ადამიანი ყოველ შემოსვლაზე, 15 ივლისამდე.
    - ✓ კარებში შემოსვლისთანავე უნდა გეკეთოთ პირბადე
      N.B. პირბადის გარეშე შენობაში არ დაიშვებით.
    - ✓ დგებით დეზობარიერზე
    - ✓ ამოდიხართ კიბეზე და ხელებს იმუშავებთ დამონტაჟებულ ანტისანიტაიზერის მეშვეობით
    - ✓ მიდიხართ მინის ბარიერთან, სადაც ხდება თქვენი ინდენტიფიცირება წინასწარ მიცემული გეგმა-გრაფიკის საშუალებით (თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმონბა)
    - ✓ იდენტიფიცირების შემდეგ გადიხართ თერმოსკრინინგს (სიცხის გაზომვა), რაც ფიქსირდება თერმოსკრინინგისთვის განკუთვნილ ჟურნალში და აწერთ ხელს
    - ✓ რეგისტრირდებით სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილ სარეგისტრაციო ჟურნალში და ხელს აწერთ მას
    - ✓ ავსებთ კითხვარს და აწერთ ხელს (მას ერთხელ ავსებთ, პირველი შემოსვლისას)
    - ✓ ავსებთ ინსტრუქტაჟის ჟურნალს და აწერთ ხელს
    - ✓ იღებთ გასაღებს აუდიტორიაში შესასვლელად

      NB. თუ თქვენ აღმოგაჩნდათ 37.0 სიცხე თერმოსკრინინგზე პასუხისმგებელი ადამიანი ვალდებულია გადაგიყვანოთ ასეთი შემთხვევებისთვის გათვალისწინებულ ცალკე ოთახში 112-ის რეაგირებამდე
      კონსერვატორია ვალდებულია ამგვარი შემთხვევების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს 112-ს.

საიდან იქნება შემოსვლა?

- სამუშაო შემოსასვლელიდან, საიდანაც ჩვეულებრივ შემოვდივართ ხოლმე.

რომელ საათებში იქნება ღია შენობა

- შენობა ღიაა ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 09:00 - 20:00.
- ამასთან 14-15 საათამდე შენობა სრულიად ცარიელდება სანიტარული მიზნებისთვის

რა შემთვევაში შეიძლება არ შემიშვან კონსერვატორიის შენობაში?

- თუ არ გაქვთ პირბადე
- თუ გაქვთ სიცხე 37.0
- არ გაქვთ პირადობის მოწმობა
- თქვენი გვარი არ არის მითითებული სასწავლო დეპარტამენტის მიერ წინასწარ გაკეთებულ ცხრილში კონკრეტულ დღეს (მაგალითად თქვენ სიაში ხართ მხოლოდ ორშაბათს და მოხვედით ასევე სხვა დღეს ხუთშაბათს. შემოსასვლელში მაკონტროლებელი არ დაგიშვებთ შენობაში)
- თქვენი გვარი არ არის მითითებული იმ საათზე, რომელიც ცხრილში წერია (მაგალითად თქვენი გვარი წერია 11 საათზე ორშაბათს, მაგრამ მოხვედით 3 საათზე ორშაბათს). ვინაიდან სხვა გრაფიკით ვმუშაობთ, კონსერვატორია ვერ გამოგიყოფთ კლასს და არ დაიშვებით შენობაში

რა ეკიპირება მოეთხოვება კონსერვატორიაში შემომსვლელს?

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - პირბადე.

უზრუნველყოფს თუ არა კონსერვატორია პირბადეებით პერსონალს. სტუდენტებს და სხვ?

- არა. კონსერვატორია უზრუნველყოფს აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, პირბადე, ფარი/სათვალე, საჭიროების შემთხვევაში ხალათები, ბახილი) მხოლოდ იმ პირებს, ვინც ჩართულია ინფექციური დაავადებათა პრევენციაში, აგრეთვე ჰიგიენური სამუშაოებისა და დეზინფექციის განმახორიცლებელ პირებს)

I.2. აუდიტორიებში ყოფნის წესები

- დაიცავით დისტანცია აუდიტორიებში 3 მეტრი;
- აუდიტორიებში 3 და მეტი ადამიანის ყოფნის შემთვევაში მუდმივად გქონდეთ გაღებული ფანჯარა
- დახურულ სივრცეში აკრძალულია პირბადის გარეშე ყოფნა
- არ გადაკოცნოთ ერთმანეთი
- არ ჩამოართვათ ხელი
- ყველა კლასში სადაც ტარდება კამერული წინასწარ მომზადებული ცხრილის მიხედვით დაიდება ანსამბლის წევრების სავარაუდო განთავსების სტიკერები. თქვნე უნდა განთავსდეთ მათ შესაბამისად
- 5 კვადრატულზე შესაძლებლია მხოლოდ 1 ადამიანის ყოფნა.
- მანძილი სიმებიან ინსტრუმენტებს შორის 2 მ, აუდიტორიაში მყოფ ყველა პირს უნდა ეკეთოს პიბადე
- მანძილი ჩასაბერ ინსტრუმნტებს შორის - 3 მ, ისიც სპეციალური ბარიერით
  N.B. გამონაკლისია ჩასაბერი საკრავების სპეციალობების გაკვეთილზე მოსული სტუდენტი (ამ დროს კონცერტმაისტერს და პედაგოგს უნდა ეკეთოს პირბადე და

დისტანცია უნდა იყოს დაცული 3მ), ამავე დროს სტუდენტი უნდა განთავსდეს ბარიერის უკან

- მანძილი ვოკალისტებისთვის - 3 მ, ისიც სპეციალური ბარიერით
  N.B. გამონაკლისია აკადემიური სიმღერის გაკვეთილზე მოსული სტუდენტი/ები (ამ დროს კონცერტმაისტერს და პედაგოგს უნდა ეკეთოს პირბადე და დისტანცია უნდა იყოს დაცული 3მ), ამავე დროს სტუდენტი უნდა განთავსდეს ბარიერის უკან
- მანძილი დასარტყამ ინსტრუემნტებს შორის რამდენიმე სტდუენტის ერთდორულად ყოფნის შემთვევაში 3 მ
- სტუდენტი/ები განთავსდეს ისე, რომ არ აღმოჩნდეს პედაგოგის პირისპირ;
- გთხოვთ მეცადინეობის დასრულებისთანავე, ცხრილში მითითებული დროის შესაბამისად დატოვოთ შენობა, რათა მოგვეცეს მისი დროული დეზინფექციის შესაძლებლობა
- შენობაში ყოფნა დასაშვებია მხოლოდ <u>რეპეტიციების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და გამოცდებისთვის გამოყოფილი დროის განმავლობაში;</u>
- თავი აარიდეთ ჯგუფ-ჯგუფად ყოფნას კონსერვატორიის შენობის ნებისმიერ ლოკაციაზე
- მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში უნდა განახორციელოთ მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით);

ვის აქვს უფლება კონსერვატორიაში შესვლის?

- შენობაში შესვლა შეეძლებათ მხოლოდ **<u>კონსერვატორიის თანამშრომლებს და სტუდენტებს</u>**, **კონცერტმაისტერებს** აგრეთვე სამუსიკო **სემინარიის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს** და მათ **პედაგოგებს წინასწარ გაკეთებული ცხრილის** მიხედვით
  - ✓ სასწავლო დეპარტამენტის მიერ დატოვებულია პედაგოგებთან წინასწარ მოლაპარაკებული განრიგი დღის და საათის მითითებით (პროფესორები, კონცერტმაისტერები, სტდუენტები/მოსწავლეები, ადმინისტრაცია).
  - ✓ პირი, როემლიც მითითებული არ არის ცხრილში ვერ შემოვა შენობაში

  პირების შენობაში დაშვებას აკონტროლებს არა კონსერვატორიის პერსონალი, ისინი თქვენ ვერ გცნობენ სახეზე, ამიტომ გთხოვთ თან იქონიეთ პირადობის მოწმობა ან სტუდენტის ბარათი.

- სტუდენტი და მისი პედაგოგი შეძლევბენ შემოსვლას და მეცადინეობას მხოლოდ სასწავლო დეპარტამენტისთვის წინასწარ მიწოდებული დღის და საათების მიხედვით.
  N.B. მხოლოდ ისინი ვინც არიან სასწავლო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ **ცხრილში** (ცხილი შემუშავდა თითოეულ პედაგოგთან პირადი კომუნიკაციით და

პედაგოგმა მიაწოდა ინფორმაცია სასწავლო დეპარტამენტს სტუდენტების ვინაობის შესახებ) **შეძლებენ შენობაში შესვალს**
გთხოვთ გაგებით მოეკიდოთ ამ შეზღუდვას, გეგმა-გრაფიკის მიხედვით მუშაობა არის ვალდებულება

- სამეცადინო ცხრილში ცვლილებებთან დაკავშირებით აუცილებელია სასწავლო დეპარტამენტთან დაკავშირება ელ ფოსტით ან ტელეფონით; study@tsc.edu.ge

როგორ უნდა მოვხვდე სიაში?

- თქვენს პედაგოგს გადაცემული აქვს საკუთარი მეცადინეობის გრაფიკი სასწავლო დეპარტამენტისთვის, რომელის მიხედვითაც შეიქმნა ცხრილი. თუ თქვენ მოდიხართ კონსერვატორიაში პროფესორთან სამეცადინოდ, თქვენი გვარი მითითებულია პროფესორის ცხრილში
- მხოლოდ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მოხვდნენ სიაში სასწავლო დეპარტამნეტთან ინდივიდუალურად გაკეთებული განაცხადით. უფრო მეტი ინფორმაცია იხ. ქვემოთ III თავში
- ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს გადმოცემული აქვთ ყოველდღიური გრაფიკი მათ დაქვემნდებარებაში მყოფი პერსონალის.

II. ჰიგიენა და დასუფთავება

დასუფთავდება თუ არა სამეცადინო კლასები?

- დიახ. ყოველ 2 საათში ერთხელ კონსერვატორია ვალდებულია სველი წესით დაწმინდოს ზედაპირები და ნახევარი საათის განმავლიბაში გაანიავოს აუდიტორია ბუნებრივი წესით აუდიტორიები.
- ხშირად შეხებადი ზედაპირებისა (მათ შორის კლავიატურის, ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკების) დამუშავება განხორციელდება რამდენჯერმე დღეში (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- დილას და საღამოს კონსერვატორია ვალდებულია სადეზინფექციო სამუშაო ჩაატაროს შენობაში
- 14-15 საათამდემოქმედებს სანიტარული საათი

დასუფთავდება თუ არა ის ოთახები, სადაც ადმინსიტარციაა განთავსებული?

- კონსერვატორიის სისუფთავეზე პასუხისმგებელი პერსონალი ყოველ დილით და საღამოს ზრუნავს დაწესებულების სისუფთავაზე. ის ტრადიციულად

ყოველდღიურად დაწმინდავს და დაამუშავებს კონსერვატორიის თითოეულ ოთახს - საკლასო აუდიტორიებს და ადმინისტარციისთვის განკუთვნილ სივრცეებს - ჯანდაცვის რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვით.

- **სასწავლო პროცესი.**
  - ✓ სამეცადინო აუდიტორიები დაიწმინდება 2 საათში ერთხელ
  - ✓ დილას და საღამოს გაკეთდება დეზინფექცია.
  - ✓ 14-15 საათამდე არის სანიტარული საათი. მეცადინეობები არ მიმდინარეობს არც ერთ აუდიტორიაში
- **ადმინისტრაცია.**
  - ✓ დილას და საღამოს გაკეთდება დეზინფექცია თითოეულ ოთახში.
  - ✓ სამუშაო <u>**დღის განმავლობაში**</u> <u>ადმინისტრაციული პერსონალი</u> იქნება პასუხისმგებელი საკუთარი სამუშაო სივრცის დასუფთავებაზე.
  - ✓ ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქუტრული ერთეულის ხელმძღვანელებს (დეპარტამენტები) დაურიგდებათ სადიზენფექციო საშუალება, რომელიც გამოიყნება ზედაპირების დასამუშავებლად და სტრუქტურული ერთეულის პერსონალი თავად იქნება პასუხისგებელი საკუთარ სამუშაო სივრცის უსაფრთხოებაზე სამუშაო დღის განმავლობაში.

ეს ეხება ყველას - რექტორს, რექტორის თანაშემწეს ადმინისტრაციულ თუ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, მაგალითად სამდივნოს, დეკანატს, სასწავლო დეპარტამენტს, სამეცნიერო დეპარტამენტს, ხარისხსი სამსახურს, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას და სხვ.

სავალდებულოა თუ არა ყველა ადმინისტრაციული პერსონალის სიარული კონსერვატორიაში ?

- იმ შემთვევაში თუკი თქვენი სამუშაო სივრცე გაზიარებულია რამდენიმე ადამიანთან, და ჯანდაცვის რეგულაციებით განსაზღვრული რეკომენდაცია - 5 კვ ერთ ადამიანზე - არ იძლევა ყველას ერთ ოთახში ყოფნის შესაძლებლობას, ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმეგებლია მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის სიარულის გრაფიკის შექმნაზე და ადმინისტარციის ხელმძღვანელისა და რექტორისთვის მის მიწოდებაზე.
- მთელი რიგი დამხმარე ადმინისტრაციული ერთეულები რჩევბიან დისტანციური მუშაობის რეჟიმში

შემიძლია თუ არა ვისარგებლო სადეზინფექციო საშუალებებით თუ საკუთარი უნდა მქონდეს?

კონსერვატორიას აქვს საკმარისი მარაგები სადეზინფექციო საშუალებების. ხელის სანიტაიზერები ხელმისაწვდომია შემდეგ ლოკაციებზე

- შენობის შემოსასვლელში განთავსებულ კიბის ფლიგელში,
- ასევე ყველა სართულის კიბის ფლიგელში შესასვლელ კარებებთან,
- ამას გარდა, სადეზინფექციო საშუალებების განთავსებულია ყველა სართულზე დერეფანის შუა ნაწილში,
- საოპერო სტუდიის ჰოლში სართულის მორიგის მოპირდაპირე კედელზე,
- დიდი დარბაზის სათადარიგო შესასვლელში,
- მცირე დარბაზის კარებთან მაგიდაზე.
- ვერანდაზე

უნდა გავწმინდო თუ არა როიალი რომელზეც ვიმეცადინე?

- ყოველი მეცადიენობის შემდეგ როიალის გაწმენდა სავალდებულოა. ყოველ 2 საათში როიალს გაწმენდს სისუფთავეზე პასუხისმეგებლი პერსონალი;
- საკუთარი თავის დაზღვევის მიზნით რეკომენდირებულია როიალის გაწმენდა პირადი მოხმარების სადეზინფექციო ხელსახოცებით.

სად უნდა გადავაგდო გამოყენებული პირბადე, და სხვ სამედიცინო ნარჩენი?

- დასაქმებულთა/ვიზიტორთა/სტუდენტთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის განთავსებული იქნება დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. სამედიცინო ნარჩენები უნდა ჩაყაროთ სწორედ ასეთ კონტეინერებში

III. მეცადინეობა და კლასების აღება

ვარ სტუდენტი. შემეძლება თუ არა მეცადინეობა?

- დამამთავრებელი კურსის სტდუენტები (ბაკალავრიატის 4 კურსი; მაგისტრატურის 2 კურსი) შეძლებენ სამეცადინო აუდიტორიის აღებას სასწავლო დეპარტამენტთან შეთანხმებით. დაუკავშირდით ელ ფოსტაზე study@tsc.edu.ge

- ის სტუდენტები, რომლებსაც აქვთ შედეგნილი მეცადინეობების ინდივიდუალური გრაფიკი (ისინი, ვისაც სხვადასვა პრობლემის გამო ვერ ახერხებდნენ დისტანციურად სასწავლო პროცესში ჩართვას) შეძლებენ სამეცადინო აუდიტორიის აღებას სასწავლო დეპარტამენტთან შეთანხმებით. დაუკავშირდით ელ ფოსტაზე study@tsc.edu.ge

- თუ თქვენ ხართ დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და გჭირდებათ დამოუკიდებელი მეცადინეობა, მიმართეთ სასწავლო დეპარტამენტს და ისინი მოძებნიან დროს და კლასს თქვენს დასაკმაყოფილებლად.
  ამისათვის საჭიროა გააგზავნოთ მოთხოვნა study@tsc.edu.ge;

წერილში მიუთითეთ სახელი, გვარი, ინსტრუმენტი, სოლო/ანსამბლი.

N.B. ანსამბლის შემთვევაში უნდა მიუთითოთ შემადგენლობა (რაოდენობა, ინსტრუქმნტები და გვარები) - ეს სავალდებულოა

სამწუხაროდ თქვენ ვერ გექნებათ დროის არჩევის შესაძლებლობა, სასწავლო დეპარტამენტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოძებნოს შესაბამისი კლასი და დრო თქვენს სამეცადინოდ. კლასში გაჩერების მაქსიმლაური დრო 2 საათი.

არის თუ არა შეზღუდვები რომელიმე დისციპლინაზე?

- ჯერ ჯერობით ვერ ვიმუშავებთ გუნდთან
- ორკესტრი
- ნებისმიერი ჯგუფური მეცადინეობა, რომელიც შეუთავსებელია რაოდენობის ლიმიტთან და პირბადის ტარებასთან

რა შემადგენლობით შეგვიძლია სტუდენტებს შეკრება და მეცადინეობა?

- ჩასაბერი საკრავების შემთხვევაში, ინდივიდუალური მეცადინეობა პედაგოგთან უნდა მოხდეს მხოლოდ იმ კლასში სადაც არის დეზობარიერი და სტდუენტსა და კონცერტმაისტერს/ოპედაგოგს შორის დისტანცია უზრუნველყოფილია 3 მ-ით
- საანსამბლო დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს შეუძლიათ მეცადინეობა ჯანდაცვის მიერ დაწესებული რეგულაციების შესაბამისად და კონსერვატორიის მიერ გაკეთებული ნიშნულების (სტიკერების) დაცვით

სად ავიღო აუდიტორიის გასაღებები?

- სამეცადინო აუდიტორიის გასაღებების აღება შესაძლებლია მთავარ შემოსასვლელში ყველაც საჭირო პროცედურის გავლის შემდეგ სასწავლო დეპარტამენტის მიერ მომზადებული წინასწარ ცხრილში მითითებული აუდიტორიების შესაბამისად.
- თუ თქვენი გვარი ამ ცხრილში არ არის, თქვენ ვერ შეძლებთ კლასის აღებას.
- ნუ შეხვალთ იმ ოთახში, რომელიც თქვენთვის განრიგით გათვალისწინებული არ არის;

შემიძლია თუ არა გამოვიყენო სპორტდარბაზი?

- არა.

იმუშავებს თუ არა სასადილო?

- არა. კონსერვატორიას არ შეუძლია სახელმწიფოს მიერ აღჭურვილობასთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება

იმუშავებს თუ არა ბიბლიოთეკა?

- ბიბლიოთეკა იმუშავებს დისტანციურად, ფიზიკურად ბიბლიოთეკაში მომსახურების მიღებას ვერ შეძლებთ. რაც გულისხმოს იმას, რომ არ შეგეძლებათ ბიბლიოთეკაში მოსვლა და ბიბლიოთეკის სივრცით (სამკითხველო დარბაზი, აუდიო ბიბლიოთეკა, სამუშაო ოთახი) სარგებლობა. ბიბლიოთეკის რესურსების სარგებლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინასწარი ელექტრონული შეკვეთითა და შემდგომ მკითხველისათვის მოთხოვნილი შეკვეთის ელექტრონული ფორმით მიწოდება.
- ამ ეტაპზე კონსერვატორიას არ შეუძლია შრომის უსაფრთოების ნორმების დაცვა ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის დისტანციურად მუშაობის შესახებ დეტალური ინსტრუქცია დაგეგზავნებათ დამატებით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ქალბატონი მაია მეტრეველის მიერ

გამოცდების შესახებ

გამოცდების შესახებ infos mogaxseneb damatebit

კონტაქტები, რომელიც შეიძლება დაგჭირდეთ:

- მიმართეთ ქალბატონ **ნანა კალანდაძეს,** სასწავლო დეპარტამენტი study@tsc.edu.ge **მხოლოდ იმ შემთვევაში**
    - ✓ თუ გსურთ ცვლილება ცხრილში (ჩვენ შევეცდებით დავაკმაყოფილოთ თქვენი სურვილი, მაგრამ ვერ გპირდებით)
    - ✓ თუ ხართ დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და გინდათ კლასის აღება სამეცადინოდ
    - ✓ თუ ხართ სტდუენტი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ვერ იყო ჩართული დისტანციურ სწავლებაში

- **მიმართეთ რექტორის თანაშემწეს,** ნინი ქუთელიას **nini.kutelia@tsc.edu.ge** **მხოლოდ იმ შემთვევაში**
    - ✓ თუ ხართ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი და გსურთ გრაფიკის შეცვლა ან დამატებით მოსვლა
    - ✓ თუ ელოდებით სტუმარს და კრიტიკულად მნიშნელოვანია მასთან კონსერვატორიაში შეხვედრის ჩატარება
    - ✓
- სწავლებასთან და გამოცდებთან დაკავშირებულ ნებისერმი საკითხზე მიმართეთ ასოც. პროფ. ქალბატონ თეონა ბუაძეს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს performing@tsc.edu.ge

- სწავლებასთან და გამოცდებთან დაკავშირებულ ნებისერმი საკითხზე მიმართეთ ასოც. პროფ. ქალბატონ მაია (მაკა) ვირსალაძე კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის დეკანი, compose-theory@tsc.edu.ge მაკა ვირსალაძე

- ბიბლიოთეკით სარგებლობის და მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით მიმართეთ ქალბატონ მაია მეტრეველს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს maia.metreveli@tsc.edu.ge მაია მეტრეველი

- შენობაში შრომის უსაფრთხოების დარღვების ფაქტის ნებისმიერ გამოვლინებაზე მიმართეთ ბატონ ნიკა ხორბალაძეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს admin@tsc.edu.ge

კონსერვატორიის ყველა კონტაქტი იხ. http://www.tsc.edu.ge/index.php?m=459